

შინაური საქმეები

№. 21.

კვირა, სექტემბერი 6, 1909 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.
 ,, ნახევარი წლით — — 2 1/2 მან.

(ცალკე ნომერი ღირს 10 კაპუკატი.)

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაური საქმეების რედაქციისაგან; ვინ არის ესტატე კერესელიძე?; შ. შ. სოფლის სამღვდელთაზე—მ. ვლ. ფ.—ძე-სი; მომღვდლე მე!—მლ. ნიკიფორე კანდელაკისა; იროლიადა (თარგმანი ფრანგულიდან)—მაქსიმოვისა; ღვთის სასუფეველი—ე. ჩ.—ძესი; შინაური საქმეების (ლექსი)—იმერელისა.

ს ტ ა მ ბ ე რ

ივერეთის ფ. გიორგის სარწმუნოებრივ განმანათ.

„მ მ ლ ბ ი ს ა“

გაბისნა ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, გ. კირიშჩევის სახლში, გუბერნატორის კანცელარიის ქვეშ,

ღეგულთა უთვლავარ სსტამბთ საქმიანს

ხ ე ლ მ ი ს ა წ ღ ო მ უ ა ს ე ბ შ ი.

ასრულებს სუფთად და თავის ღრობა.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაური საქმეების“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 1/2 მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

რედაქციისაგან.

ეს მესამე თვე გადის, რაც ჩვენი გაზეთი არ გამოსულა. შეიძლება ეს ამბავი ბევრს ახარებდა, განსაკუთრებით მათ, ვისაც ჩვენი გაზეთის სარწმუნოებრივი მიმართულება არ მოსწონს, ან ვინც გაზეთის გამოცემას მეტიჩრობად გვიროცხდა, ან კიდევ... მაგრამ ამავე ხანამ დავგვიტკიცა: რომ არც ისე თანაგრძნობას მოკლებული ყოფილა „შინაური საქმეები.“ რედაქციამ ბევრი საყვედურის და თანაგრძნობის წერილები მიიღო, რომ-

საბურთალოს სახ. საქ. სსრ
 სახელმწიფო რ. კაპუბლიკ.
 შინაური საქმეების რედაქცია



ლებიდანაც აშკარად სჩანს, რომ მისი გამოცემაც საქირო ყოფილა. ამიტომ რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე და გაორკეცებულ ენერგიით იწყებს გაზეთის წარმოებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ რედაქციას აზრადაც არ ჰქონია თავი დაენებებია გაზეთის გამოცემისათვის, მხოლოდ დროებით შეაჩერა, რადგან ამას თხოულობდა ახლად დაარსებულ სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობის სტამბის შექმნის საქმე. ეხლა ეს საქმე უკვე დაგვირგვინდა ღვთის მადლით და რედაქციასაც მეტი საშუალება მიეცა, რომ გაზეთი შეუჩერებლად თავ-თავის დროზე გამოდიოდეს. იმედი გვაქვს, პატივცემული მკითხველები გულის არ გაიგრილებენ და მეტის თანაგრძნობით მიეგებებიან განახლებულ „ზინაურ საქმეებს“.

ვისაც გაზეთის ფასი თელათ აქვს გადახდილი, მას ახალი წლიდან გაზეთი სამ მანეთად დაეთმობა, ხოლო ვისაც სრულად არ აქვს, ის მხოლოდ სამ მანეთს გამოგზავნის ამ წლის გაზეთის ფასად. რედაქცია სიამოვნებით მიიღებს და დასტამბავს ყოველგვარ წერილებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან სარწმუნოებას და ქრისტიანულ ზნეობას. სასურველია, წერილები იყოს მოკლე, მარტივი და ადვილი გასაგები, რომ გაზეთი მდებრივ ხალხისათვისაც ხელმისაწვდომი იქნეს.

ვინ არის ესტატე კერესელიძე?

ამ დღეებში წმ. მთავარ მოწ. გიორგის სახელობაზე ახლად დაარსებულმა იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-განმანათლებელმა ძმობამ ძვირფასი განძი შეიძინა. თბილისის მესტამბემ ბ. ესტატე კერესელიძემ შესწირა მას სრული სტამბა ღირებული არა ნაკლებ 10,000 მანეთისა. ეს სტამბა უკვე ჩამოვიდა ქ.

ქუთაისში და მოეწყო თბილისის ქუჩაზე კირიშჩევის სახლებში, გუბერნატორის კანცელარიის ქვედა სართულში. თვით შემომწირველი ესტატე კერესელიძე გახლავსთ რაჭველი გლეხი სოფ. სადმელიდგან. იგი სიყრმოდგანვე მოშორებია დედ-მამის ღარიბ ოჯახს და შეფარებია თბილისს. აქ რამდენიმე ხანს მზარეულად ყოფილა და შემდეგ განსვენებულ შარაძის საძმო სტამბაში ამხანაგად შესულა და ამ უკანასკნელთან (შარაძესთან) ერთად უმოღვაწეობდა იმერულ-გურულ გალობის შესაკრებად და სარწმუნოებრივ-ზნეობრივ წიგნაკების გამოსაცემად და გასავრცელებლად. განსვენებული მ. შარაძე დიდი მორწმუნე და მოღვაწე კაცი იყო, რომელსაც არ შურდა თავის ქონება და შრომა სარწმუნოებისა და ზნეობის განსამტკიცებლად შეეწირა; რადგანაც სავსებით ვერ შეისრულა თავის გულის წადილი, ამიტომ თავის საწილო სტამბა და სხვა ქონება თავის ორ ამხანაგს უანდერძა იმ პირობით, რომ ძმობის მიზნისთვის არ ელაღატნათ და ყოველი შემოსავალი სარწმუნოების და ზნეობის განმტკიცებისთვის მოეხმარათ და თუ შემთხვევა ექნებოდათ სტამბა ისეთ საზოგადოებისთვის გადაეცათ, რომელსაც მიზნად ქრისტიანული სარწმუნოება და ზნეობა ექნებოდა დასახული. ერთი წლის გამოცდილებამ, დაანახვა ესტატე კერესელიძეს, რომ სტამბა იმ პირობებში, რომელშიდაც დარჩა ვერ აღასრულებდა ვერც მის პირად ლტოლვილებას და ვერც განსვენებულ მის ამხანაგის მ. შარაძის ანდერძს. ამისთვის საქიროდ სცნო, თანახმად თავის მოძღვარ-ამხანაგის ანდერძისა, თავის წილი სტამბა იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობისთვის გადაეცა და კიდევ გადასცა იმავე პირობით, რა პირობითაც მას უანდერძა თავის წილი განსვენებულმა მ. შარაძემ. ეხლა ესტატე კერესელიძე თავისვე შეწირულ ძმობის

სტამბაში მუშაობს, როგორც გამოცდილი და მკოდნე მემანქანე. იგი ჯერ კიდევ ყმაწვილი და ჯანსაღი ვაჟაკია, გამსჭვალული ქრისტიანულ სარწმუნოებრის და ზნეობის სიყვარულით. მას ზედმიწევნით შეუსწავლია გურულ-იმერული გალობა ნოტებზე და მზათ არის თავის დანარჩენი სიცოცხლე შესწიროს ძმობის სამსახურს ქრისტიანე სარწმუნოების სარჩიელზე.

თუ არ ვსცდებით, ბ. ე. კერესელიძის უხვი შეწირულება პირველი მაგალითია საქართველოში მას შემდეგ, რაც საქართველომ დაჰკარგა თავის თვითარსებობა. მაშინ შეფეხები და თავადები უანდერძებდნენ ხოლმე ეკლესიას მამულ-დედულებს თავის სულის საოხად და მოსახსენებლად. მას შემდეგ საქართველოს ეკლესიამ არ იცის არა ვითარი შეწირულება თავის შეილთაგან გარდა ჩხირსანთელისა. ის კი არა, ჩვენი ვაჟბატონები განადგურებას უპირებენ ტაძრებს და ამას არ ფარავენ რუსეთის წარმომადგენელთა წინაშეც კი. ასეთი განდგომა ეკლესიისაგან იაფად არავის დაჯდომია და არც საქართველოს დაუჯდება. იქ სადაც სარწმუნოება შელახულა, საქმე კარგად არ წასულა, ხოლო სადაც ეს უკანასკნელი დღესაც მკვიდრად სდგას, გრიც დაწინაურებული და ბედნიერია. ამ ქვეშაობების თვალსაჩინოდ გვიმტკიცებს დღევანდელი სახელმწიფოების მაგალითები და ვისაც თვალეი ასხია, კარგად უნდა ხედავდეს ამ გარემოებას და თითონაც ცდილობდეს სარწმუნოების აღორძინებას და განმტკიცებას. როცა საქართველოს ეკლესია დაეცემა, როცა ივერიას თავის გამაჯობარდებელი, გამამხნეველი ქრისტეს სარწმუნოება მოაკლდება, მაშინ ქართველი ერის ხსენებაც მოისპობა. შორს რომ არ წივიდე, ჩვენ მეზობელ მოძმე ხალხს—სომხებს—შეგხედოთ, რომლებიც ყოველ ღონისძიებას ხმარობენ არ დასცენ სარწმუნოება და ამიტომ შეწირულებაც ბევრი მიიქვთ თავის ეკლესიაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ. კერესელიძის უხვი შეწი-

რულება ბევრს დააფიქრებს და გააბედინებს გამოვიდეს სამოღვაწეოდ სარწმუნოების სარჩიელზე.

ხმა სოფლის სამღვდლოებაზე.

მართლ ეგზომ დანაშაულნი არიან ისინი?

წარსულ სეზონში ერთ-ერთ პეტერბურგის ლიტერატურულ-ფილოსოფიურ შეკრებილებაში ცნობილმა მწერალმა № სამღვდლოების წინააღმდეგ ცხარე საბრძოლველო სიტყვა წარმოთქვა: „ჩვენი სუტები ყოველთვის უცლილბლათ ფეხს უსდგა ქავდენ უმადეს ზირთა“, ამბობდა ორატორი. რ. მ. დენადაც მასსოვს ეს მწარე სიტყვა პეტროსას განზრახ უფრო სოფლის სამღვდლოებას სცემდა მუდგრათ. შეტის-შეტა მძიმე ბრალდება! ერთსა და იმავე დროს ეს ბრალდება სამართლიანად არის და უსამართლოც: სამართლიანი ცხოვრების ფაქტების სინამდვილის აღნიშვნით და შეტის შეტათ უსამართლო წინაშე უმადესის სამართლის სამკაურისა. თუ რომ ეს სიტყვები მარტო ცოტათ თუ ბუვრათ ინტელიგენციასთან, ამ სიტუაციის ფართო მნიშვნელობით, ერთსა და იმავე უფლებრივ და ეკონომიურ პირობებში მყოფ ქალაქის მღვდლებს უხებდეს მამინ მათ თავისი ფასი ექნებოდა. . . სოფლის მღვდლებზე მიზანბუუს ამ აღტეინებულ ფილიპიკაში თავიდან ბოლომდის გამოსჭვივის სახარების სიტყვები: „სუ განაკათხავთ, რათა არ განაკათხეთ“. რუსეთის სამშობლოს მოქალაქენი საქმოდ განბობილი ვართ უფულებობის ათასწიან ფორმისთან. ჩვენი ინტელიგენციასთვის იმის შეგნებ ცკა ძველია, თუ რა პირობებში უხდება მღვდელს სოფლად მუშაობა.

ქრისტიანული სარწმუნოება, თავის შორის უფლებების იდეის შემცველი, ამ იდეაზე მდდა აყენებს სიუვარულს, რომლის განსახორციელებლად არავითარი განსახდურული გარეგნული ფორმა არ არის საჭირო. „წმინდანება კანონს არ საჭიროებენ“, ამიტომ რომ ასინი თვისის აკებულებით აღმატებთან მას. მაგრამ აქციეთ ეს—დრმათ ინდივიდუალური, —სადეთა ზრინცია სწორ სავთველდლო ადთად და თქვენ ხსავთ თუ რა საშინელი შედეგი მოაქვებს მას ცხოვრებაში: კაცის ბუნების უსრულებასთან და წმიდანის უფლებლობასთან, ზრინცია სიყვარული-

სა, ვარისმოფილი უფლებისა, აუცილებლად უფუ-
ლებობად შეიცვლება - ზოგიერთების დესპოტიზმით
და სხვათა ურთიერთად უმობად. მამისშვილისადმი
ჭეშმარიტი სიყვარული, რა თქმა უნდა უფლებრივ
რეკლამენტაციასზე მალდა სდგას; მაგრამ ნამდვილად
ხომ საჭირო არის ყოლა მამისაცა და შვილისაც.

უფულებანი იურისდიქციისაგან უნდა ვინცა-
ნი, უმალეს სასულიერო მთავრობის — ეპარქიის
მდგელთ-მთავრის მამობრივ მზრუნველობისა თა-
ვის-თავად სახელგანთავს ამ უკანასკნელის, თეთრ სამ-
ღვდელოებასთან დამოკიდებულებას. გულუბრყოფილო-
ბა და ზიზღითხეობა იქნებოდა რომ უფულები მდგელთ-
მთავარი ხორცშესხმულ ანგელოზათ და „წმინდანთა“
ჩაკვეთვად, როგორც ეს მათდამი მისამართი ეტი-
კეტით მიღებულია... და უფულები ამასთან მდგელ-
მა არამც და არამც არ უნდა გაჭებდოს თავის
მდგელ-მთავრის წინაშე ფიქრი რაღაც თავის ადა-
მიანურ უფლებების შესახებ, ისრე როგორც არ უნ-
და ჰიქობდეს ჭეშმარიტათ მოყვარული შვილი
თავის უფლებებზე წინაშე თავისი მამისა.

ესლა ოფიციალური ზიზღითხეობისაგან აღარ არის
საიდუმლო, რომ ჩვენი ეკლესია სახელმწიფოსთან
არა ბუნებრივი გაჭირით არის გადაბმული. სახელ-
მწიფო ზინციზების საეკლესიო ცხოვრებაში გამტა-
რებლად გამოადან ეპარქიის მდგელთმთავრები. ამ
უკანასკნელთ სურვილის აღმასრულებელ ზიზღით კი
მდგელები ხდებიან. და ამ ჰიზროთა და გრძობათა
სიყურაში, — რომელიც მოწმუნებ ზიზღით თვით წმი-
დათა წმიდანს ექება — თავისი ჰიზროს ქინება, გან-
საკუთრებით სოფლის სამდგელელებისათვის, აღკრ-
ძაფულისა, უამისოთ ხომ შეუძლებელია უფრო უმ-
ჯობესი საქმის შესაფერა რკინის უმაგრესი თანდა-
თანობა, რომლითაც ჩვენში ეკლესია ჩამოჭყანდათ
და ესლაც ჩამოჭყავთ უბრალო სახელმწიფო დაწესე-
ბულების ხარისხამდე. ამ მხრით მდგელისაგან ცო-
ტა ოღნათ თავისი „მე“ - ს გამომჟღავნება ითვლება უსა-
სტიკეს დანაშაულათ წინააღმდეგ სარწმუნოებისა —
მწკალებლობათ, რომელსაც თან საჭრობილე და მო-
ნასტერი მოსდევს. მასხენდება ერთი დაუფიწარი
შემთხვევა; თუმცაღა ძველი, ათი წლის წინეთ მომ-
ხდარი, მაგრამ დღევანდელი დღის მიხედვით ისევე
ცინცხელი. მხოლოდ ფორმები შეიცვალენ, თორემ
საქმის ვითარება ისევე ძველი დარჩა. რუსეთის ერთ
შიდა გურენისში დიდი შიმშილობა იყო. საერო

მთავრობა ჩვენ მიერ უგვე ცნობილ გზას დადგა —
„კრინტი არ იყოს, რადგანაც ეველანი კეთილდღე-
ობენ“. ეპარქიის შეუფროსებმა შესაფერა ინსტრუქ-
ციები მისცეს სოფლის სამდგელეობას. არ დამორ-
ჩილდა მას, ფსიხოლოგიურათ არ შეეძლო სხვა ხა-
ირათ მოქცევა, სიცცხელით აღსავსე ერთი სოფ-
ლის მდგელე; შიმშილით გათანგულ თავის შრევე-
ლის კაცებით გარშემორტყმული ადგა და ზრესში
გამოსთქვა თავისი სულის კვეთება. ამასთან მოჭკვა
ამ მდგელის მონასტერში გაგზავნა და შერმე თვა-
სისავე ნებით მშობლიურ კვრადამ ერთ ერთ სამ-
ხრეთის ეპარქიაში გადასვლა. და ეს დაქმრთა მო-
აზრე და ხალხისათვის თავშეწირულ მდგელეს, რომ-
ელიც არც კი უნდა დაესჯათ, არამედ განსაკუთ-
რებით უნდა დაეჭილდებოდათ. ამ გზით ძნელი შე-
სანიშნავია ის ფსიხოლოგიური ნაკვეთები მდგელის
სულიდამ უფუელ ხაირ თავისუფალ მოაზრობის
ამოწიწინისა, რომლებიც ხანდისხან ჭეშმარიტად
განსაცვიფრებულნი არიან. დიდი ხანი არ არის მას
შემდეგ რაც ერთმა მდგელმა ადგილობრივ საჭარ-
ქო უწევებში დააბეჭდინა მწვემსთა ერთურთთან
დამოკიდებულების მიუცილებლობაზე. რა მოხდა თუ
იციით? ამ სტატიაში უმალესი მთავრობის იჭე ქვეშ
დააყენა ავტორი. დახეთ როგორი თავისუფალი მო-
აზრე გამოტყურა!

ჩვენ უგვე იმ ხანაში ვსცხორებით როდესაც
სცენაზე სახელგანთავს მდგელთმთავრები, ესრეწო-
დებულ წესრიგ გამოცვილი ბერობისაგან, გამოდი-
ან. ეპარქიის მდგელთმთავრებად — ხელმძღვანელებ-
ბად და „მამებათ“ ხდებიან ოღნათ წელზე ძლივს
გადაბიჭებულნი ზიზღით. ურთიერთობის კარკანი
ფორმა შეიცვალა. ძველი „შენ“ და მისი მსგავსი
ლექსები ჩაჭებდა უგვე წარსულს. მადლობა დმურთს!
დიდი ზრცრესი არის ფაქტის თვალსაჩინო უმნი-
შენელობის მიუხედავათ. დადი მომასწავებელი უამ-
თისის მერმისისა! მაგრამ არსებითად საქმე ბერად
არ შეცვლილა: იგივე სისტემა განსაკუთრებით ბე-
რულ სათნობათა აღზრდისა — უცილობელი მორჩი-
ლებისა და უღაზარაკოდ გამსჭვალვა შეგებით —
რომ „მატლი ხარ და არა კაცი“.

მაგრამ თუნდაც რომ ეველა ჩვენი მდგელთ-
მთავრები უადრეს ქრისტიანულ სულის მატარებელ
მწვემსებათ წარმოყიდებინათ, საქმეს, სამწახროდ,
არც მაშინ რამე შეეღის და მდგომარეობა სოფლის

მღვდლის თითქმის არაფრით არ იცვლება. ნამღვილ თვითხეობით ბიუროკრატიულმა მრინციმმა, ზევი- დამ ქვემოძღვე, გაფლინთა მთელი სფერა მეუფრო- სეთა და ხელქვეითთა ურთიერთობისა. თითქმის ოფიციალური სფერებიდამ შევიტყვეთ ჩვენ ექლახან, რომ ზოგიერთ კონსისტორიებში 20,000-დის ქა- ლალი შენაკალა; და ამ ქალაღებმა უმეტეს ნაწი- ლით უნდა გაიაროს ეპარქიის მღვდელთმთავრის ხელში. „ხანდისხან, ამბობს ერთი მთვანი, ამდენ ქალაღების შემდეგ ლოცვისათვის დრო აღარა მჩე- ბა და სხვისათვის საღდა მთვინელიო!“ და რა გა- კეთოს ამ შემთხვევაში თუნდაც ნამღვილმა მღვდელთ- მთავარმა და მამამ?! შეუძლია მას მამობრალათ შესვლა სოფლის მღვდლის მდგომარეობაში, კიდე- ვაც რომ ამ უკანასკნელმა მოიხდომოს თვისი მწვემ- სურა მწუხარების მასთან გამთქმამ?! როგორც კი ახლად ნაგურთხი მღვდელი მღვდელთ-მთავრის, მთხო- სელეთით გატენილ, მისაღებ თათხში შედის, ენა მუ- ცელში უვარდება. სულ ერთია ყოველ მის სიტყვას ცხადად თუ ფარულად, თავს ედგამება ტვინის გამ- ენიველი რეზოლიუცია— „კონსისტორიაში ცნობე- ბისათვის“.

ძალაუნებურათ ჩვენი კონსისტორიები სოფლის მღვდლისათვის ზირველ და უკანასკნელ ინსტრუციუ- ბათ გამოდიან. ახ სეტყვი ეველას შექდლოს წინარი სოფლის მღვდლის სულს და გულში ჩახეღვა მა- შინ, როდესაც იგი შედის ამ ჩვენს თავისდაგვარს ერთად ერთ დაწესებულებაში! რა ხარ სულიერ სიმძიმის, რა ხარ სულიერ ტანჯვას და სუვლას აღმოკითხავდენ მასში ის უდროფოთ მომწიფებუ- ლი და ჩუბთვის თქმისამებრ „განუსჯელნი“ ჩვენი სამღვდელთების აღვიღად მთ.თხველ-მამხილებულ- ნი!.. ძვირად მოიხეობიან ამ დროში ისეთი კერ- ძო ზირები, რომლებიც იცავენ ეპარქიის მართვა- გამკერების ხსენებულ უმთავრეს ორგანოებს, ამ სამ- წუხარო წარსულიდამ დარჩომიდ სიძველეთა? განსა- გურთებით ის უფრო სუაღალო არის, რომ თვით საუკეთესო ზირები ჩვენი კონსისტორიების სათავე- ში ჩამდგარნი, უღონო არიან, ამ უსჯულოებისთან მოსაზღვრე სამსჯავროთა გასაუმჯობესებლათ რისა- მუ გაკეთებისა. კალამი ხელიდამ გვარდება როდესაც გსურს აღწერა კონსისტორიულ წილადობილისა და სამართად-გადაწვეტილების ნიმუშებისა. იქ დღე- საც, ისრევე როგორც ანგლიში, რა სვეიჩველია

სულ სხვა მოსაზრებით და შედეგებით, არ შეცვლი- ლა ზოგიერთი კანონები და საქალაღო ფორმები, ჩვენი წვეულა კრულვით მოსაზრხარ ბატონებობის დროის შესაფერად შედგენილნი! ჭეშმარიტად სა- სულიერო კონსისტორიას ისტორია არ ეხება, შე- საფერად უმაღლესისა თვით უმცირესი ორგანოც საეპარქიო მართველობისა მსგავსისავე ბიუროკრატი- ული ხასიათის მატარებელია. დიდათ სამწუხაროდ, მთავრობის მიერ დანიშნულნი, და არა აღჩუულნი, როგორც ეს წინანდელ უკეთეს დროში იყო, მამა- ნი კეთილმწყისნი ამ ჟამად უკეთეს შემთხვევაში მარტოოდენ ქალაღების გადასაცემ ფონტის საღ გურებს წარმოადგენენ; უნდა ითქვას, რომ ასეთ ქა- ლაღებთა რიცხვი დღითი დღე შეტის მუტად მა- ტულბოს, რის გულსათვისაც სასულიერო მთავრო- ბა სულ იმის ცდაშია, რომ მღვდელი ნატარიუ- სათ აქციოს. არ მოეხეობათ ჩვენს თანამომციებს სოფლად მატონსანი მადვასწენი, არც ერთი ხარც- შესხმული აღამიანი, რომელთანაც მათ თვისი ფიქ- რებისა და საქმეების შესახებ მოლაშარაკება შეუძ- ლთ!.. ასეთი არის საერთოდ უფლებრივი მდგო- მარეობა სოფლის მღვდლისა. მაგრამ უწვის კი ჩვენმა საზოგადოებამ თუ რა საშინელ ნივთიერ ზი- რობებში სცხოვრებს სოფლის მწვემში?! არა და არა! ჩვენს ინტელიგენციას რადაც უცბადათ ერთხელვე სოფლის მღვდელი მდიდარ ზირათა ჭეკვს წარმო- დგენილი. არ უხდათ იმის შეგნება, რომ ასეთი ზი- რა მათში ძვირათ თუ საღმე მოიხეობება და თუ მო- იხეობება, გამოხაკვს წარმოადგენს. არა სურთ იმის შეგნება, რომ მთხოვრების მორისაც მოიხეობე- ბიან მდიდრები, და ძობები და ფლასები ფაქტს ვე- რა სცვლიან. თავისისცემა განსვენებულ დიდებულ მწველას ჩუბთვის მის სამართლიან სიტყვებისათვის სიხეკვის მთადვარ იაკობზე („მაჭლავუნაში“). არა ერთი მღვდელი გაიხსენებს მას წინამე დვთის საკურთხეულისა!

უნაყოფოდ მიგვანხია დავა მასზედ, მდიდა- რი არის, თუ ღარიბი ჩვენი სოფლის სამღვდელთ- ება. საქმე იმაში გახლავსთ, თუ რა გზით მწი- ვილობის ის არსების ზურს, რომლის (გზას) ერთ გახსენებაზე კაცს ურუანტელი უკლის და გვლია ასტეივა.

— გაგვტანჯა შიმშილმა, შესწივის უსათუო წვეს მამა იაკობი.

—სულგრძელებით მპატიეთ, მაგრამ ღონე აღარა მჭკს. . ვინც, რომ ვინმეს ვსთხოვო, თავი ვსწე, უველანინ შექეწევის, მაგრამ... არ შემიძლიან! მრცხვენია! რა ხაირათ უნდა ვსთხოვო გლეხებს? თქვენ აქ მსახურებთ და თვითონაც ხედავთ... ვინ იქნება ისეთი რომ მათხოვარს მოწყალება სთხოვოს? ხოლო მდიდრების, შემამულეების თხოვა არ შემიძლიან! თავმოყვარება! სირცხვილი! (მაჯღაჯუნა“)

რისთვის, —ჩვენი საზოგადოება, ასრე ადვილათ შეიცხვული „უძლები და ხარბი მღვდლების“, ერთი წამით მაინც, რა არის, არ ითვალისწინებს სხვების, რომლებიც „მდიდრებს“ სამათხოვროდ ხელს უწვდის, სულის კვეთებას?! „ისინა უსულგულანი არიან“, ჩვეულებრივად ამბობენ, გაზეთის ფურცლებზე გამოქმულ ჯანჯლობით მიწაზე მღვდლებზე. —„თქვენ, მამო, რა ხაირათ იცხორებთ უსინდისთ?“ ერთ ერთ გაზეთში შეგხვდა ასეთ კითხვას, მიმართულს ერთ მოგაკრე მღვდლისადმი მღვდელ — მოქმედების ნიდაგზე აღძრულს ეს, თუ გნებავსო, ასრეა, მაგრამ ეს სიწმიდის მკრეხელი, მისი მოსამსახურენი, ხომ ჩვენი სამღვდლოების ეკონომიურად შემაწრებელი სისტემის ნაყოფი, ჯამი გახლავს? ჩვენს შიდასხეულებს რათ არ ნებავთ იმის შეგნება, რომ ამ ნიბობებში სოფლად მღვდლობა მხოლოდ მოწამებს შეუძლიათ. და თუ რომ სოფელი კადევ მაინც იძლევა რიგანს მღვდლებს, რამდენათ უფრო მეტი იქნებოდენ ისინი სხვა უფრო ადამიანურ ცხოვრების პირობებში „სულის შემსუთველ ჭეჭეან ორმის ატმოსფერაში ვარდის სუნი შეუძლებელია“ — ამ მოქმედების ღოზუნეი თანმედროვე ინტელიგენციისა. და ავიწეებთ „მამათა მხარის“ ავტორებს ამ ჭეშმარიტი სიტყვების სოფლის მღვდლის უფა მღვთმარებასთან შეფარება.

ცოცხლად მადგია თვალწინ ტ — ის გუბერნიის, სოფლის ა-ს აწ უვეა განსუენებული მღვდელი. 12 წელი უვეა გუიდა ჩვენ უკანასკნელ ხახვის შემდეგ, და მე ძვირათ მეგუდვება იმისთანა ადამიანი, რომლის შეფარებაც მასთან შეიძლებოდა. ღრმად მოწმუნე, განაოლებელი, მას თავისი სი თავი სრულიად შეწირული ჭჭინდა თავის მრევლისთვის, თანხმად სხარების სიტყვებისა ის

ვევლა თავის სულიერ შვილებს იცნობდა უოველივე მათი ღირსება ნაკლულებით: ეველას სხელს ეძახდა (სიტყვები — მისი სოფლავის, მრევლის მიერ დადგმულ, ძეგლზე წარწერილი) რა სიუფრულით და ატატებით დაიწეებდა ხოლმე ღაზანაკს თავის შოლაზე, ამ თავის უსუვარდეს შვილზე!... არდადვის დროს ჩვენ უოფელი მოწაყეები ტ — ის სემინარიისა, უოველთვის აუცილებლათ, მღვდიოდით ამ ჩვენთვის დაუვიწარ სოფელში, რათ გვესწავლა, და სულის ქრისტიანული განწობილება მეველო, იქ მცხოვრებ მხოვრე, ქრისტეს სულით მოსაუბრე მწეემისაცან. მე არასოდეს არ დამავიწეებდა ამ წმიდა მღვდლის ხათქვამი სიტყვები: „ჩემი სამი ვაჟი სწავლობენ სემინარიისა და აკადემიაში. დმერთსა ვსთხოვ რომ ისინი ცხოვრებაში ერთის რამისაცან დაისხნას — სოფლის მღვდლათ იუძელებით უოფენისაცან მხოლოდ დიდ წმიდანებს შეუძლია ჩვენი სამღვდლოების თანამედროვე უფა-მღვთმარების პირობებში კაი კაცად უოფენა“...

ვევლა ამჩნევს რომ ჩვენი სოფლის სამღვდლოების სულიერი ღონე თანდათან ძირს იწევის. და რა არის გასაკვირვალი ამ მწარე ჭეშმარიტებაში იმ გარეგნულ მღვთმარებასთან, რომელშიაც უვეა დიდა ხანია რაც სოფლის მღვდელი იმყოფება. შებატლებმა ბიუროკრატიული, თვითნებობისთან მანა თესაკე, უოფლის შემძლებლობით, რომელიც პირველის აუცილებელი შედეგია, ნოთიერთ დახარულმა ჩვენმა სოფლის სამღვდლოებამ დაიწეე ბუღმა და უპირავნომ კინაღამ არ დაიწეა თვით სელი ვაე-ის არსებობაც. კადევ გასაკვირვალია, ვიტყვით ერთის სოფლის მღვდლის სიტყვებით, რომ ამ წრეში კადევ ბევრი მოიბოკებაან პატრიონათ მოაზრე ადამიანები, რომ აღმოფხვრილი არ არის მათში უოველივე კარგი და პატრიონანი ჩაგურათ, მონობით და თვითნებობით! რომელმა ჩვენ თაკანმა, რომელსაც სოფელთან კავშირი არ შეუწევეტია, არ იცის, რა ადვილათ იღუპებიან იქ ცოცხალი ძალები, როგორ უღბათ ჭჭრება კონსისტორიის გავლენით ღვთიურა ნაწერწკალი მოწოდებით მღვდლებში!

არცა გკიცხავთ, ძვირფასო ჩვენო თანამამებო, და არც თქვენთა შეიცხვლათა ბელეტრისტთა გუნდს ვამრავლებთ გტუებით რომ თქვენს

მდგომარეობაში არც თვითონ ჩვენ ვიქმნებოდათ უკეთესნი. ვევედრებით ღმერთს, რათა გარდმოაგლანოს რისკარი თქვენს ბნელთ მთელ ცხოვრებაზე, და მშვიდ, გვრწამს, გაიშლეთ თქვენა დასაგრული ძალები, და თქვენ ისევ შეიქმნებით მოძღვრად გლეხისა, რომელსაც კხდაც გულით უუარხაათ.

მ. ვლ. ფ—ძე.

•.გომადვედა მე!•*)
გეგმა მსახურისა

განმარტოებულ საგანში სულის საცხონებლად დაყუდებულიყო მწირი ბერი. დანამდვილებით არაფერ არ იცოდა დრო, როდის დასახლდა ის აქ. ღრმა მოხუც ბერებსაც კი, რომლებიც უდაბნოში გაქალაჩადნენ, დიდი ხნის მოსრული დაუხედავთ ის. ამბობდნენ მხოლოდ, რომ წინეთ, როდესაც მონასტერი პატარა და ღარიბი იყო, ბერები კი, დღე და ღამეს მუდმივ შრომასა და ლოცვაში ატარებდნენ, საიდანაც შორიდან მოვიდა უცნობი ბერი და, მოიხიბლა რა ამ უდაბურ კლდის სიმშვენიერითა, დარჩა იქ სამუდამით.

იმან დასდგა აღთქმა საუკუნო ღუმლისა, ძალზე მარხულობდა, არას იკარებდა და ასე ისუსტებდა თავს; იძინებდა ტიტველ ქვებზე, სკამდა გამხმარ სეფისკვერს და მთელი დღე და ღამე ლოცვად იღვა.

დაყუდებულის სასტიკ ასკეტიურ ცხოვრებას მოწმობდა მისი ძალზე მისუსტებული სხეული, რომელიც ძვლების ჩონჩხსა-და ჰგავდა, ხოლო შინაგან მის მიერ მიხწეულ წარმატებას-კი, მისი სახის უცვლელად წყნარი გამომეტყველება და თვალები, აღზნებულნი ზეციური შუქითა და მხილველნი რაღაც უცხო-უზუნაესს ქვეყნისა. ბევრი წმინდანად სთვლიდა დაყუდებულს, მაგრამ ყველას სათითაოდ არ შეეძლო დარწმუნებულიყო ამაში და უჯერებდნენ სხვებსა.

დიდი ხნის მეუდაბნოების შემდეგ დაყუდებულმა ფიქრა თავისთვის რომ ღმერთს უკვე ვასიამოვნეო. ღამის წყვილადში, როდეს

საც მის სენაკის გარშემო ზუზუნებდა ქარი, ის ზოგჯერ თავის გულში ამბობდა: „შენ ხედავ, უფალო, ჩემს შრომასა და ხორციელად ტანჯვასა? გავწორდი რა ქვეყანას, მის ყოველ სიბილწესა და მიცურობასა, ჩემი ყოველი ფიქრი ზეცას მივაპყარ. რაღა გინდა კიდევ შენ. წამიყვანე შენთანა, შემრაცხე ანგელოზთ ბრწყინვალე გუნდთა თანა, მომეცი სამოთხისებური ჯილდო ამ მძიმე მოღვაწეობისათვის.“

მაგრამ ზეცა არ ისმენდა მის ხვეწნა-ვედრებას და მოხუცის ხმა უნაყოფოდ იკარგებოდა შუა ტყეში განმარტოებულად მყოფ სენაკის კედლებ შორის. მეუდაბნოე ტირილით თავსა სცემდა ქვებსა და იორკვებდა თავის ტანჯვა-წვალებას. მისი ტანის კანი წაავავდა გამხმარ ეტრატს და გადაკრული იყო მარტო ძვლებზე; მხოლოდ თვალები, რომლებიც უწინდებურად ბრწყინავდნენ, მეტყველობდნენ ამ ნახევრად მკვდარ კაცის სიცოცხლეს.

და აი ერთხელ, როდესაც ის დაღლილი ხანგრძლივი მარხულობითა და ლოცვითა გაერთო სიზმარში, მისი სენაკის კედლები გამსჭვირდნენ, როგორც შუშა, მას მოესმა და თვალ წინ დაუდგა ყველაფერი, რაც ხდებოდა შორს მის გარშემო.

მან იხილა მშვენიერი ქვეყანა. ის ბუნების სიმდიდრით უხვად იყო დაჯილდოებული. მაგრამ ყველაფერს იქ უბედურობის კვალი აჩნდა: მინდვრები დაუმუშავებელი იყო, სოფლები ცალიერი, ქალაქებსაც დაჰკარგოდათ აღრინდელი სიცოცხლე. ყოველგან ეყარა უპატრონო მკვდრები, ცოცხლადღა დარჩენილები კი დახეტიალობდნენ, ვათარცა აჩრდილნი. საერთო უბედურობას კიდევ ვერ გარდაექმნა ხალხი ერთ ძმურ ოჯახად, ყველა თავისთვის ზრუნავდა და სხვებს უმწეოდ სტოვებდა.

აი აგერ ახალგაზრდა დედა, ყმაწვილით ხელში გზა და გზა მოხეტიალე. საით მიდის, არც თავათ იცის; მისი ფიქრია როგორმე განსაცდელს გაწორდეს და გადააარჩინოს მისთვის ძვირფასი არსება. მისი ნაბიჯი უფრო და უფრო უსწორ მასწორად ექანება და უცტრად

*) იაილეთ ეურხალი „красный звоник 1908 წ. № 11 ნოემბრის თვის.

ძირს ეცემა, ბავშვი ხელიდან უვარდება და იკრუნჩხება მთელ ტანში. მას აღგომა არ შეუძლია, ვერაფერს ვერ ხედავს და არც არაფერსა გრძნობს. ბავშვი კი ტირის და მიიწევს მისკენ... მის ახლო მიდი მოდიან ქვეითი და ცხენოსანი, მაგრამ მათთვის არავის არ სცალია.

მეორე ალაგს ყველასაგან მიტოვებული ავთომყოფი გორავს ლოგინში, ეძახის ნათესავებს, ყველას ვსაც კი შეუძლია დახმარება, მაგრამ არავინ არ მიდის მასთან...

მაშ ვინ არის ეს ასე მშვენიერი, გარნა კაცთათვის უხილავი, რომელიც ეგრეთ გამოუთქმელი მწუხმრებით დაჰყურებს მათ უბედურობას?

აი ის მიუახლოვდა და დაეხარა ბავშვისაკენ... ბავშვმა ტირილს თავი გაანება და გარღმა. მოესმათ რა ვილაცას ძლიერი მოწოდება მის ახლოს საჩქაროდ მიმავალი ცოლქმარი უეცრად უკან გამობრუნდნ და აიყვანეს ბავშვი. მუდუბნოემ ნახა კიდევ, რომ ავთომყოფს თავზე დაედვა მარჯვენე ამ მშვენიერ და მქმუნვარე კაცისა, ისიც დაამდა და ტანჯვის ნაცვლად მას სახეზე გამოეხატა ნეტარება.

დაყუდებულს ეგონა, რომ იმან სადღაც ნახა ეს ბრწყინვალე სახე და წინეთ იცნობდა მას, მხოლოდ ესლა ვერაფრით ვერ იცნო.

ესლა მარტო გრძნობდა ის თავის თავზე მის უხმო, მაგრამ სულის სიღრმემდე ჩამწდომ მაყვედრებელ თვალსა..

* *

ისევ ის ქვეყანაა. მაგრამ ალაგ ალაგ იმასაც მოუსაგლიანობა სწვევია, ვინც შრომობდა და სხვას არჩენდა, ესლა თავათა შია. მათი უბედურობა არ აწუხებს მაძლართა და ზარმაცთა, რომლებითაც სავსეა მდიდარი ქალაქები. იქნებ მშვიერები შორს არიან, არა სჩანან ისინი, არც იციან რამ მათ შესახებ. არა, ისინი იქვე მდიდარ და დაცალიერებულ სასახლეების ახლოს არიან უბინადრონი, ყოველ მხრიდამ შეგროვილ სიმდიდრეთა მახლობლივ, რომელთა ერთი მეთასედიც იკმარებდა

ყველა მშვიერთა გასაძღომად, იხოცებიან შიმშილით თავისიანები — მოქალაქენი და სოფლებიდამაც შემწვობისათვის აქ მოსრულნი მახლოვლნი... და ამაოდ ეხვეწებიან ისინი შემწვობისათვის, თუმცა მათ ხმა მაღლა შეედლოთ ლალადი აშკარა უსამართლოებაზე გაქვავდნენ კაცთა გულნი და ჰურის ნაცვლად ისინი ქვას აწოდებენ თავის ძმასა ანდა თავიდაც იშორებენ, რომ არ შეირყეს მათი მყუდროება და... სინიღისი.

მათ ვინლა მოაგონებს მათ მიერვე დავიწყებულ მოვალეობას თავის მოყვისს-დმი, ძმობა-სიყვარულზე?

დაყუდებული კიდევ კარგათ ხედავს მწუხარე სახეს დავიწყებულ ნაცნობისას, ოდესღაც მახლობლისას, აწ კი, იქ, განშორებულისას, საოცრისას.

მის წყნარ თვალთა ძლიერი ხედვა გამოუთქმელი მტკივნეულობით სწვდება მოხუც გულს, რომელიც ამასთანვე უფრო ძლიერ სცემს და გრძნობს რალაც სიხარულს, სავსებას და განახლებას. დაყუდებულს ჰგონია, რომ მისი ბაგენი რალაცას ეუბნებიან მას, მაგრამ სახელდობრ რასა არ შეუძლია მას ამის გამოცნობა.

* *

სამოთხის კუთხე ქვეყნად არის. ის კაცის გასაბედნიერებლად არის გაჩენილი, მაგრამ ძლიერ დიდმა ბოროტებამ, როგორც კი შეედლო კაცს გამოეგონა, ომმა ჯოჯობეთად გადააქცია ის მშვენიერი ბუნება წაბილწული და ქვეყანა დამახინჯებული საზიზღარი მუწუკებითა ციხეების და საფართა სახითა; იმათ იქეთ გრგვინავენ თოფები, რომელთაც შემოაქვთ სიკვდილი და შემუქრვა. გამოსჩანან აოხრებული სოფლები, გადამწვარი სახლები და ატიალებული ყანები. ყველგან ადამიანთა და ცხოველთა გახრწნილი გვაშებია, ყველგან უღმობელოების და ძალმოპრეობის კვალია. აქ არის სამეფო წყვილიადისა, ძალადობისა, კაცის საღმრთო უფლებათა გათელვისა, რომელიც ხელოვნურად ნადირად არის გადაქეული.

ხალხი რომელთაც შინა ჰყავთ კოლ-
მვილი, საყვარელი და ძვირფასი არსებანი,
მოსულან აქ მოსაკლავად და მოსასპობლად აღ-
გილობრივ მკვიდრთა, რომელთაც არაფერი
არ დაუშავებია მათთვის და დღემდე არც
არასოდეს უნახავთ ისინი, მოსულან რომ
იმათ ნათესავთ და მოყვასთა მიაყენონ ტან-
ჯვა-წვალება.

ნამდვილი მკვლევლები და მკარცველები
არ ჩაიდნდნენ მეთათსედს ყველა იმ უღმობე-
ლობის და უსამართლობისას, რასაც სჩადიან
ეხლა აქამდე მშვიდობის მოყვარე კაცები,
რომლებიც ძალათ არიან მოწყვეტილნი თა-
ვიანთ ოჯახებსა და პატროსან შრომასა, მისე-
ული არიან სხვებზე, რომლებიც ცხოვ-
რობენ ფართო და ყველა არსათვის უზვად
დაჯილდოებულ დედამიწაზე. არც ერთ მათ-
განს არ აუშენებია და ამიტომ არც არავის
პირადათ არ ეკუთვნის ეს დედამიწა, რომე-
ლიც ერთ და იმავე ალერსიან და ცხოველ-
მყოფელ მზის ქვეშ არის, იმ მზის, რომელიც
თითქოს მოვალე იყოს რისამე კაცის ღვარ-
ძლიანობის, გაუმადლოების და უგნურობის-
თვის, არ უნდი უნათებდეს და ათბობდეს ყვე-
ლას, თითქოს ყველას არ ჰქონდეს უფლება
მის ქვეშ ცხოვრებისა, თავისუფლებისა, ბედ-
ნიერებისა და თავისი თავის გამგებლობისა.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმათგან, ვის-
თვისაც საჭირო და ხელსაყრელია ძმათა მომ-
სპობი ხოცვა.

ძირს ეცემიან მოკლულები, იტანჯებიან
და იკრუნჩხებიან დასახიჩრებულნი. სროლა,
ვაება, ყვირილი, ხვეწნა-ვედრება, წყევლა კრუ-
ლეა, ცხენთა შესაბრალისი ხეხვინი გადაქ-
ცეულთა საზარელ გოდებაღღვარძლიანობისა,
ტყვილისა, სასოწარკვეთილებისა და ზეცას
უწოდებენ სამართლიანობასა და შებრალებასზე,
რომლებიც არ არიან დედამიწაზე. ადამიანები
და ცხოველები აირ-დაირივნენ ერთმანეთში
და იქცნენ ერთ უმსგავსო ხროვად, სცემენ,
სტყულებენ და ჰგლეჯენ ერთმანეთს, ეჩხუბე-
ბიან როგორც გააფთრებული ნადირები... არა,
როგორც ადამიანები, ნადირებზე უფრო დაბ-
ლა მდგომნი,

აი დახოცილ გვამებს და დაქრილთ მო-
ედვნენ ცხენოსანი მხედრები, რომლებიც მო-
სვლისას გზებზე ყველაფერსა მუსრავდნენ.

აი მათ აგორებულ ზღვასავით მისდევნენ
ქვეითი მხედრები რომლებიც ტალახში სტკეპ-
ნიან ადამიანთა სხეულებს...

აი განცხრომითი ევილ ხივილი მძლეოთა,
გუნდრუს უკმევინ ზეცას, ქებას და მადლო-
ბას უბდიან მას მოყვასთა ამოწყვეტისათვის...

და აი იმავე ზეცას აღის მეორე ბანაკი-
გან კენესა, ლოცვა ვედრება რათა დახოცილ-
ნი შეწყალებულ იქნენ, ხოლო მოპირდაპირე
მოძმენი მოსპობილ...

გამოუთქმელი მწუხარებით გარემოცული
უცქერდა ამას ვილაცას წყნარი სახე; ის შუქ
მფინარე სინათით შეუმჩნევლად დაიარებოდა
ბრძოლის ველზე და, როგორც საყოველთაო
შვილთმოყვარე მამა, კმუნვით და სიყვარუ-
ლით ეპატრონებოდა თვითეულ დაქრილს
ორივე მხრისას...

კენესა თანდათან სუსტდებოდა, გამაბე-
დნიერებელი სიკვდილი სპობდა უზომო და
უსარგებლო ტანჯვას განმკურნავი ძილი უხუ-
ქავდა მოქანცულ წამწამებს, უმანკო და წმინ-
და ოცნებები ეწეოდნენ უღმობელ და გათუ-
თხნულ სინამდვილის მაგიერობასა.

მოხუცი ხედავდა, რომ ეს ბრწყინვალე
სახე, როგორც ნორჩი სხივი, შეიქრა მძლეოთა
ბანაკშიაც და ძლეულთაშიაც.

ამის წყალობით სიხარული გამარჯვებისა
ბევრს უშფოთებდა სულსა და უქენჯნიდა სი-
ნიდისს, წყურვილი სისხლის აღებისა სიბრა-
ლულად, მშვიდობასა და ძმობაზე ფიქრად
ექცათ. იმათაც და ამათაც თვალები ეხილე-
ბოდათ, ფხიზლდებოდნენ, მოდიოდნენ გონსა
და ადამიანები ისევ ადამიანობას ეპირებოდნენ.

დაყუდებული დარცხვენილია. რა ფასი
აქვს მის ხანგრძლივ მოღვაწეობას გარეშე
ქვეყნისა, როდესაც მთელი ქვეყანა საესვა
კრემლითა და სისხლითა, იტანჯება ურიცხვი
ხალხი, რომელსაც ესაჭიროება შემწეობა და
განათლება ქვეშარტი სიყვარულითა; ეს კი
არაფერს ამ გვარს არას აკეთებს, ფიქრობს

მარტო თავის-თავზე, ზრუნავს თავის ცხოვრებაზე

ჩაღუნა თავი ბერმა: არარად და უსარგებლოდ წარმოუდგა მას თავისი მოღვაწეობა შედარებით იმ მოღვაწეობასთან, როგორც უნდა შეესრულებინა და შეეძლო კიდევაც.

— წადი ქვეყანაში მომდევდი მე! მოესმა მას წყნარი, ნაღვლიანი და მასთან ძლიერი ხმა; თუმცა ეს ხმა საიდამაც საშიშ და უცნობ სიშორიდან მოდიოდა, მაგრამ მის გარშემო, თითქოს იმასშივე ეღერდა და აკმაყოფილებდა მის საიდუმლო გულის ნადებს. იმან იცნო ეს ხმა და დაინახა ის, ვინც მოეჩვენა მას სიზმარში, შიშისა და სიხარულისაგან შეკრთა დაბერებული გული მწირისა, რომელიც აენტო თავგანწირული სიყვარულის საღმრთო ცეცხლითა.

— მომდევდი მე! იღვაწე ჩემთვის! მოესმა უკვე მას თვის გულშივე.

— მოვდივარ, უფალო, მოვდივარ,—უბახუბა მან მთელი არსებით.

* *

სოფლითი სოფლად, ქალაქითი ქალაქად მიმოვიდოდა სუსტი და ჩამომხმარი, მაგრამ ხასიათით შტკიცე და სულით მხნე ბერი. ის გაბედულათ ამხელდა ბოროტებას, უსამართლობას, ფარისევლობას; მფარველობას უწევდა ჩაგრულთა და უმწევთა, ქადაგებდა ერთად ერთ სიმართლეზე და მოუწოდებდა ერთობასა და ძმობისადმი.

მას მტრები უფრო ბევრი ჰყავდა მეგობრებზე. მაგრამ მტრებისა არ ეშინოდა მას, ამბობდა რა, რომ მათ შეუძლიათ წაართვან მხოლოდ სხეული, რომელიც დიდი ხანია უამისოთაც ტვირთად აწვა მის თავისუფალ სულსა; მეგობრებისაგან კი არავითარ მადლობას არ ელოდა, ფიქრობდა რა, რომ კაცის ვალი ერთმანეთის შევლა-დახმარებაშია, ჯილდო კი თვით კეთილის შეგნებაში.

ზოგისაგან დალოცვილ ნაკურთხი, ზოგისაგან გაკიცხულ-დასჯილი დაიარებოდა ის სოფლებსა და ქვეყნებში და განურჩევლად დებულობდა ყველას, ვინც მზათ იყო გულით

მიელო, ფაქიზად მოეველო და შეენახა ქვეშაირიტების ძვირფასი მარგალიტი.

ზოგჯერ პოულობდა ვგრეთ გვაშებს—და მათში ჩანერგილი ნაპერწკალი ღვთისა აღგზნებდა მათ ზეციურ და უხრწნელ სიყვარულის დაუშრეტელი ლამპრითა, უბრწყინებდა სულს სასიხარულო და მყუდრო განთიადითა; მაშინ წყნარი და დაუძღურებული სახე მოხუცისა როგორღაც ფერს იცვლიდა, ყმაწვილდებოდა, ლამაზდებოდა და ბრწყინდებოდა.

ვერავინ ვერ ვაიგო, რად დაასრულა მან თვისი მოგზაურობა და ვინ მიიღო მისი უკანასკნელი ამონაკენისი; ან, შეიძლება, ის განმარტოებული შთაინთქა განთიადის აღერსში, ყვავილთა ფშინვაში ველად.—სულ ერთი არ არის, როდესაც არაფერი არც კეთილი, არც ბოროტი არ იკარგება უნაყოფოდ, ყველა კაცი-ძმებია და ყველასათვის: კაცისათვისაც, ცხოველებისათვისაც, მცენარეებისათვისაც და ყველაფრისათვისაც, რაიცა კი არსებობს,—არის ერთი და იგივე მოწყალე მამა, რომელიც ყოველგან იმყოფება.

მლ. ნიკიფორე კანდელაკი.

ი რ მ დ ი ა დ ა .

გ უ ს ტ ა ვ ფ ლ ო ბ ე რ ი ს ა

თარგმანი ფრანგულიდან.

(გაგრძელება *).

ტეტრარქი უკან მიაწყდა. დავითის ძის ხსენებამ, როგორც მუქარამ, დააღონა იგი. იოაკანამმა ამხილა მისი უდიერი ბატონობა—(არა არს უფალი, გარნა უზენაესისა), სხვა და სხვა ნაირი მადნარი, ქანდაკებანი, თეატრები, სპილოს თელის აფეჯეულობანი... იგი ჰგმობდა მას, როგორც უსჯულო აქაბს.

ანტიპამ შეკერდს ხელი იტაცა, მოჰვლიჯა ვეცხლის ძეწკვზე ჩამოკიდებული ბეჭედი, ჩაუსროლა ორმოში ჰერობილს და უბრძანა გაჩუმება.

ხოლო ხმა განაგრძობდა:

*) იხ. „შინ. საქმ.“ № 20.

— „მე ვიყვირებ. ვგიტ დათვი ბრდღვინა-
ვი, ვით ნიანგი, ვით მშობიარე ვიკივლებ მყ!
სისხლის შერევისათვის უკვე მოგეგო სასჯე-
ლი შენ! უფალმა გრისხა შენ უძეობითა ჯო-
რისათა!“

ხალხში გაისმა თავშეუკავებელი სიცი-
ლი.

ვიტელი უკმეზობდა, არ ცილდებოდა ორ-
მოს. თარჯიმანი აუღელვებლათ უთარგმნიდა
მას იოაკანამის სიტყვებს, ასე რომ ტეტრარქი
და იროდიადა იძულებულნი იყვნენ ხელმოეო-
რეთ მოესმინათ ეს საშინელი სიტყვები.

ანტიპას ახრჩობდა უძღურება მისი სიბ-
რაზისა; იროდიადა კი დაშტერებით ჩასტკე-
როდა ორმოს მთლათ გაფითრებული.

საშინელი ადამიანი კი თავ-აღებით ზედ
რკინის ბადეს მოადგა, თმა საშინლათ გაწე-
წოდა და თვალები ნაკვერცხალივით ენთებო-
დენ.

— „ჰოო, შენა ხარ, იეზაბელ! შენი სან-
დლების წრიბინმა დაიპყრა მისი გული!
ენებათა ლელვამ ავიტაცა შენ, ვით ქაკი ცხე-
ნი! შენ დასდგი სარეცელი შენი მთასა მა-
დალსა და იქ შესწირე მსხვერპლი შენი!..
მაგრამ უფალი რისხვით მოგხდის შენ ძვირ-
ფასსა სამკაულებსა შენსა, სამაჯენი და ბეჭედ-
საყურენი, ძვირფასი სარკენი და სირაქლემას
ფრთის მარაოები, სარდაფის სანდლები, რა-
მენლიც ჰფარავენ ფერხთა შენთა და ფერადი
ფრჩხილები შენნი უწმიდურებაა წინაშე მისსა.
იგი გაგძარკვავს, დაგამცირებს შენ და ქვანი
მიწის პირისანი არ იკმარებენ ჩასაქოლავათ
შენდა, ჰოი სისხლის შემრევო!“

იროდიადამ იქით-აქეთ მიიხედ-მოიხედა,
თითქოს საფარველს ეძებდა, ფარისევლებმა
შელური სიბრალულით თვალები დაუშვეს,
სადუკეველთა პროკონსულის ხათრით პირი
იბრუნეს. ანტიპა მკედარს დაემსგავსა. ხმა კი
თან და თან იზრდებოდა, ძლიერდებოდა. იგი
გრიანდებდა, როგორც მოულოდნელათ ატე-
ხილი გრგვინვა და მთანი იხმობდენ მოელვა-
რე ხმებს, რომელნიც სპობდენ, სორგუნავდენ
მაქერაუზს.

— „ხოხაუდღე მტვერსა შინა, ასულო ბა-

ბილონისაო! ნაყე წყალი! უკუაგდე სარტყე-
ლი შენი, გაიძვრე ფერხთა შენთა, დაიმოკლე
სამოსელი შენი, გარდახედ მდინარე.. ვერა
გიხსნის რა შენი უნამუსობა შენი გამოქვეყნ-
დების, სირცხვილსა შენსა იხილავს ყოველი
ტომი! ქვითინი შენი გადრტყენებს სიბრაზით
კბილთა შენთა, უზენაესი გრისხავს შენ გა-
ნუზომელ ცოდვათა შენთათვის! წყუულო,
წყუულო, ჩაკვდი, ვით ძუ ქოფაკი!“

ამ დროს სახურავი ასწიეს და ორმო და-
იხურა... მანნაის მოსაკლავათ არ ენაღვლებო-
და იოაკანამი.

იროდიადა გაჰქრა; ფარისევლნი ხელობ-
დენ, მათ შორის იდგა ანტიპაც და თავის
გამართლებას სცდილობდა.

— რასაკვირველია, ამბობდა ელიაზარი,
რიგი და წესი ასეა, რომ ძმის ქვრივი ძმამვე
შაირთოს, მაგრამ იროდიადა ხომ ქვრივი არ
ყოფილა და თანაც საძეო გააჩნია; აი რაში
მდგომარეობს ძალა და სიმძიმე ცოდვისა.

— ტყუილია! შეცდომასა — უბასუხებდა
სადუკეველი იონაფანა — კანონი არ ადასტუ-
რებს ასეთ შეუღლებას, მაგრამ თანაც არ არ-
ღვევს მას.

— როგორც არ უნდა ილაპარაკოთ, ყვე-
ლანი უმართებულონი ხართ ჩემდამი — ამტკი-
ცებდა ანტიპა — აბესალომი არ იყო, რომ მა-
მა მისის ცოლები შეიერთო, იუდამ რძალი
შეიერთო და ამონისა კი — დაჲ თვისი, ლოთი
არ იყო, რომ შეუღდა ქალიშვილთა თვისთა?

ამ დროს გამოჩნდა ავლიც, რომელსაც
უკვე კარგათ გამოეძინებია. გაიგო თუ არა
რაზე იყო ლაპარაკი, ხელათ გაამართლა ტეტ-
რარქი: — ვინ აქცევს ასეთ სისულელეს ყუ-
რადლებას! — მას სასაცილოთ არ ყოფნიდა მწი-
გნობართა საყვედურა და იოფანამის სიბრაზე.
აივანზე მდგომი იროდიადა გამოელაპა-
რავა მას.

— რას ბრძანებთ, ბატონო ავლო, იგი
ხალხს აქებებს ხარკი არ გაიღოთო!

— მართლათა? იკითხა მეზვერემ.
ყველამ, ჰეროდემაც კი კვერი დაუტრა.
ვიტელიმ გაიფიქრა, რომ ჰყრობილს შე-
ეძლო გაქცეულიყო და, რადგანაც ანტიპას

საქციელიც საეკვოდ მიაჩნდა, ბრძანება გასცა ყველგან, საპრობილესა თუ გალავნის გარშემო, დარაჯნი დაეყენებინათ.

შემდეგ მოსასვენებლათ გაემართა. რჩეულნი მწიგნობართა გაჰყვენ მას. მათ, მსხვერპლის შეწირვის გარდა, ათასნაირი საჩივრით მიმართეს მას. მოთმინებიდან გამოსულმა ვიტელიმ უბრძანა მათ მოცილებო.

პროკონსულიდან დაბრუნებისას, ერთ სათაფურის ახლო, იონათანმა დაინახა ანტიპა, რომელიც გრძელ თმისა და თეთრად ჩაცმულ ესეელს რაღაცას გაცხარებით უამბობდა. იონათანი ეხლა გულში ნანობდა, რომ წებან ტეტრარქის მხარე დაიკავა.

ერთი რამ ანუგეშებდა ეხლა ანტიპას—სახელდობ ისა, რომ იოკანამის მას აწი აღარა ეკითხებოდა რა: რომაელნი დარაჯობდნენ მას... უჰ, რა შეღავათია! ფანუილი ბოლთასა სცივმდა იქვე ცხის კედელზე. ტეტრარქმა იხმო იგი, და მიუთითა რა რომაელ დარაჯებზე, სთქვა:

— იგინი ჩემზე ძლიერნი არიან, მე აღარ შემიძლია აწი მისი განთავისუფლება.. ეს ჩემი ბრალი არაა!

ციხის ეზო თან და თან დაცალიერდა. მონები მოისვენებდნენ. საღამოს ალიონით გაელვარებულ ცის ტატობზე ყოველი საგანი რაღაც გაურკვეველ და საშიშარ აჩრდილს ისროდა. ანტიპამ ძლივს გაარჩია მარილოვან ზღვის იქითა მხარეს მარილის მადნები; არაბთა კარები აღარ სჩნდნენ იქა. აღბათ სხეგან სადმე გადინაცვლეს. ბადრი მთვარე ამოცურდა, და მის გულსაც ნელ-ნელა მშვიდობა ეწვია.

ფანუილი კი, ჯავრისაგან გაბრაზებული, იდგა გაუნძრევლათ თავაღუნული, მან უკვე აღმოთქვა ყველა ის, რაც გულზე ლოდით აწვა და სტანჯავდა.

აგერ ერთი თვეა, რაც იგი სამყაროს აკვირდებოდა და იკვლევდა მნათობთა განწყობილებას. პერსეი ზედ შუა გულ ცაზე იდგა, აღაღა აღარ მოსჩანდა, ალგონი ოდნავ ბეუტავდა, მირა-კოეტი მთლათ დაიშალა. აქედან

ფანუილმა დაასკვნა, რომ ამაღამ, მაქერუზში, დიდი ვინმე გარდაიცვლებო.

მაგრამ ვინ? ვიტელიუსს საკუთარი დარაჯი იცავს; იოკანამს არ დასჯიან... „ნუ თუ მე ვარ ის ვინმე?“ — ჰფიქრობდა ტეტრარქი — შეიძლება არაბები დაბრუნდნენ? ან, შეიძლება, პროკონსულმა გაიგოს პართელებსა და ჩემს შორის დაწყებული მოლაპარაკება? რა ბინებს იერუსალიმელი ვერაგები ახლდენ; ტანისამოსს ქვეშ მათ ხანჯლები უჩნდათ.. „ტეტრარქი დაჯერებული იყო ფანუილის ცოდნასა და სიბრძნეში.“

„მოდო მივმართო იროდიადას! თქმა არ უნდა—ტეტრარქი სძულს მას, მაგრამ... მაგრამ მხოლოდ მას შეუძლია მისი გამხმევება. თანაც, ჯერ სრულათ არ გაწყვეტილან ის თვალთმაქცობის ქაფები, რომლითაც იროდიადამ ერთ დროს შებოჰა იგი.“

იროდიადას სადგომში შესვლისათანავე მან შეამჩნია უთავბოლოთ მიყრილი-მოყრილი ნივთები. ვაჭრის ფერი სასაკმევლები კინამონი იწოდა, აქა იქ ეყარა სუნნელების შუშები კეთილსუნნელოვანი ფხვიერი, ღრუბლისა მსგავსი ნაქსოვნი, ნაქსოვი ღეჩაქი და სხვა.

ტეტრარქს კინტი არ დაუძრავს არც ფანუილის წინასწარმეტყველებაზე, არც არაბებსა და ებრაელებზე, რომელნიც შიშის ზარს სცემდნენ მას. მან გაიხსენა მხოლოდ რომაელნი. ვიტელიუსსმა არც ერთი სამხედრო საიდუმლო არ გაანდო მას და ტეტრარქი შიშობდა, ვიტელიუსი ნამდვილათ კაი განწყობილებაშია კაიოსთან, რომელსაც ხშირათ ნახულობდა აგროპა მაშინ, რაღა დარჩენია ტეტრარქს? ან გადასახლება, ან თავის კვეთა.

იროდიადა, ზიზლით გულსავსე, სკდილობდა დაემშვიდებო იგი, მაგრამ რადგან მისი სიტყვები ეგრე რიგათ ვერ მოქმედებდნენ მასზე, იროდიადამ პატარა ყუთს თავი ახადა და უცნაური სახის შედალი ამოიღო, რომელიც ტიბერიოსის გამოხატულებას შეიცავდა. ამ შედალის დანახვაზე ლიქტორებიც კი უნდა შემკრთალიყვენ; ყველა მამილებელნი—დადუშებულიყვენ.

გახარებული და გრძნობაში მოსული ანტიპა შეეკითხა, საიდან იშოვე ასეთი განძიო.

— მიფეშქაშეს — მიუგო მან.

უცბათ, ფარდას იქიდან გამოჩნდა შიშველი შკლავი ახალგაზდა, საუცხოო, თითქო პოლიციელის სპილოს ძვლისაგან გამოუქანდაკებიაო ხელი ღამაზათ მოძრაობდა მარცნიდან მარჯვნივ, ალბათ ტუნუკას ეძებდა, რომელიც იქვე, კედლის ახლოს, პატარა ტახტზე იდო.

მოხუცი — მოსამსახურე მიეშველა და ფარდის ოდნავ აწვეით გადასცა ტუნუკა.

ტეტრარქს რაღაც მოაგონდა... მაგრამ სახელდობ რა — ამის თქმა ვერ შესძლო.

— ი მონა შენ გეკუთნის? — იკითხა მან.

— რა შენი საქმეა — უკმეხათ მიუგო იროლიდამ.

(შემდეგი იქნება).

ღვთის სასუფეველი.*)

„მოვედინ სუფევა შენი“!

„მოინანეთ“, აი პირველი სიტყვა, რომლითაც მიმართა სახარებამ კაცობრიობას. ცხოვრების სასურველი განახლება, ღვთის სასუფეველს კაცთაშორის დამყარება დამოკიდებულია თავდაპირველად მონანებაზე. „თუ არ მოინანებთ, — ამბობს ახალი ცხოვრების ღვთაებრივი მქადაგებელი, — ვერ შეხვალთ ღვთის სასუფეველში“. (იოან. 3 თ. მ. 5) რუსული სიტყვა „покайтесь“ და ქართული „მოინანეთ“ მთლად ნათლად ვერ გამოსთქვამს, საეგებით ვერ გვიჩვენებს საჭირო აზრს; დედანში, სახარების ბერძნულ ტექსტში, სიტყვის აზრი უფრო ნათლათაა გამოხატული, იმის შინაარსი უფრო გარკვეულია. აქ ჩვენ ვკითხულობთ: „მეტონიეტე“, ასოდ — ასოდ ეს ნიშნავს გადაიფიქრეთ, გამოიცვალეთ თქვენი აზრი, შესცვალეთ თვალთა ხედვის ძირითადი ისარი... ამ შემთხვევაში ქრისტეს სიტყვები, იმის სასუფეველში შესასვლელად მონანების მოთხოვნა შემდეგ აზრს ღებულობს. ქვეყანაზე შეიძლება და სავალდებულოცაა უნდა იქ-

* იხ. „შინაური საქმ.“ № 20.

ნეს სულ სხვა ცხოვრება, ვინემ ის, რომლითაც ეხლა ცხოვრობენ ადამიანები და რომლის სიმძიმის ქვეშ კენესავენ. ძალმომრეობა, უსამართლობა, თავმოყვარეობა და საზოგადოთ მოუხეშავ ინსტინქტთა ბატონობა არ წარმოადგენენ განუშორებელ ძალებს. ამასთან ერთად, ადამიანში, თუმცა ფარულად დანასახად, მაგრამ მაინც არის უკეთესი, მაღალი, წმინდა გრძნობანი. გრძნობა ძმობის, თავგანწირული სიყვარულის და ღტოლვილება ქვემარტივისა და საზოგადოთ ზნეობრივი სისრულისადმი. თუ იმათ სისტემატიურათ არ წვეუურებთ, მივცემთ იმათ გზას, გავზრდით და განვამტკიცებთ იმათ გულში, მაშინ ისინი გააცისკროვნებენ ჩვენ ცხოვრებას დამაბრმავებელ და მომხიბლავ ბრწყინვალეობით. ცხოვრება მთლად გამოიცვლება, ბოროტების უფლება შეიცვლება სიყვარულის მომხიბლავობით. და ეს ღვთის სასუფეველი შეიძლება დამყარდეს ადამიანში რომელსაც, გინდა, წუთში. მსოფლიოდ ეხლანდელი ადამიანები არ გამოდგებიან ამ ახალი ცხოვრებისათვის. იგინი სულით უნდა განახლდენ. საჭიროა იმათ მოახდინონ ძირითადი გასაღფასება, ცხოვრებაზე თვის შეხედულებათა, საჭიროა შეიგნონ თავიანთ წინანდელ ღტოლვილებათა ნაკლულევალება და სიმდაბლე, გაიმსკვალონ ახალ მონაბერი აზრით, სახარების ყოვლის მომცველი სიყვარულით და ქრისტეს მშვიდობის მყოფელი სიმშვიდით და შეუკავებელი და გაუმადლარი მისწრაფებით სიმართლისადმი. ქრისტეს მიერ დახატული მომავალი ნათელი ცხოვრება უეჭველ პირობათ უდებს ვალდებულებებს, რომ ადამიანმა თავისთავში უნდა გამოისახოს სახარების ადამიანის სახე, ისწავოს ცხოვრებისა და მისი მოვლენებისადმი ისე მოქცევა, როგორც ამას შერებოდა ქრისტე სახარებამ განსაკუთრებელი ძლიერებით წამოაყენა წინ აზრი, რომელიც სამწუხაროდ ხშირად ეხლაც ვერ გაუგიათ; როგორც მეტურქულე თავის ხელოვნებით, მეცადინეობით და საქმიანადმი ყურადღებით აკეთებს ამა თუ იმ თვისებების ქურქულებს, ისე ადამიანი თავის ძალით, თავის თვისებებით, თავის ბუნების ხა-

სიათით, არკვევს თავის ცხოვრების ხასიათს და მიმართულებას. ცხოვრებას არ შეუძლია სხვა ხასიათი მიიღოს, თუ არ იცვლება და არ იღებს სხვა ხასიათს ძირითადი თვისებები, თვით ბუნება ადამიანისა.

ცხოვრების სრულს და მოუბრუნებელ შეცვლას ვერ შესძლებს ვერც გარეგანი ძალ-მომრეობითი ზედგავლენა, ვერც ბრმა მორჩილება ავტორიტეტისადმი. ცხოვრების ძირითად შეცვლისათვის, იმის ღვთის სასუფეველისკენ ერთად ჰირის ბრუნებისათვის საჭიროა სახარების ზნობრივი იდეალის სიდიადის წითელი შეგნება, ცხოვრების წინანდელი წყობილებისადმი, რომელიც დამყარებული იყო, ჩვენი მოუხეშავი და დაბალი ბუნების მიდრეკილებათა მსახურებაზე, ცოცხლად ზიზღის გრძნობა, საჭიროა სურვილი, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს სულის უმაღლესი მოთხოვნილებები. ამ აზრის ამხსნელი, დამახასიათებელი და დამასაბუთებელი არის ქრისტეს საუბარი ნიკოდიმოსთან. ურიათა ერთი უფროსთაგანი, სახელად ნიკოდიმოსი, ღამით მოვიდა ქრისტესთან და უთხრა: „რაბი! ვუწყით, რამეთუ ღმრთისა მიერ მოსულხარ მოძღვრად, რამეთუ ვერვის ხელმწიფების სასწაულთა ამათ საქმედ, რომელთა შენ იქმ, უკეთუ არა ღმერთი იყოს მისთანა“. მიუგო იესომ და რქვა მას: „ამინ, ამინ გეტყვი შენ: უკეთუ ვინმე არ იშვეს მეორედ, ვერ ხელმწიფების დამკვიდრებად სასუფეველი ღვთისა“. (იოან. 3 თ. 1—3 მ.). თუ ამ საუბრის მოყვანილ ნაწყვეტს ყურადღებით დაუვკვირდებით, შევადარებთ ნიკოდიმოსის სიტყვების შინაარსს ქრისტეს სიტყვებთან, ჩვენ დაინახავთ, რომ ქრისტე ბასუხს არ უგებს ნიკოდიმოსს, არ არკვევს ქვევით თავის ღამის მესაუბრის აზრს, არამედ მკაცრად აწყვეტინებს მას საუბარს და მკაცრადვე აძლევს მას სხვა მიმართულებას. ნიკოდიმოსმა უთხრა: „თუმცა ჩემს თანამოძმეებს-ფარისევლებს სძულხარ შენ, შურით უყურებენ შენს მასწავლებლობას ხალხში, მაგრამ მე მაინც არ შემძლია არ გიცნო ღვთაებრივ მასწავლებლად და არ მოვიხარო თავი შენს წინაშე. შენი სასწაულები მარწმუნებენ, რომ შენ ღვთისა-

გან ხარ წარმოგზავნილი, მე შენი მოწოდებ ვარ, მოველ შენთან, რათა დავამოწმო ეს“. — „შენ თუ ასე მსჯელობ, — აწყვეტინებს იმას ქრისტე, — არ შემძლია მიგიღო ჩემს მოწოდებთ, შენ დაინახე ჩემი სასწაულები, თითქოს ასე ეუბნება ქრისტე, — და გაკვირდი, მაგრამ გაიგე ჩემი სიტყვების ღრმა აზრი, გულის ფანქვალთ ყურს უგდებდი ჩემს მოწოდებას ღვთის სასუფეველისადმი, ტოკავდა შენში სული აღვრთოვანებით ქვეყნად მომავალის სიყვარულის; ქეშმარიტების და სიკეთის წათელი სურათის წინაშე? ადგეგზნო მაშინ სურვილი, მზად იყავი მიგეცა ყველაფერი, მოშორებოდი გაგწყვიტა ყოველივე ძვირფასი კავშირი სისხლითი ნათესავეებთანაც, ოღონდ კი მოგსწრობოდა ქვეყანაზე ჩემი სიტყვების განხორციელება? გრძნობ ახალს, წინათ უცნობ სულის მდგომარეობას, საზიზღარ ძველისადმი განშორების გრძნობას. და გრძნობ მხოლოდ ერთ სურვილს — მთლად მიეცემი ახალ ცხოვრებას? იმისთვის კი არ მოგსულვარ, რომ სასწაულებით გავაოცო ადამიანის გონება, არამედ მოველ იმისთვის, რომ ქადაგების სიტყვით, ცხოვრების მაგალითებით მივაპყრო იმათი გული ღვთის სასუფეველისადმი. ჩემი მიზანია გავუღვიძო ადამიანებს მიძინებული კეთილი ნება, და მათი პირადი, საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი წყობილება დავუმორჩილო — უმაღლესი გონების, უმაღლესი სიყვარულის, ზეციური მამის ნებას. „არა ყოველმან, რომელმან მრქვას მე: უფალო! უფალო! და შევიდეს იგი სასუფეველსა ღვთისასა, არამედ რომელმან ჰყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა“ (მათ. 7 თ. 21 მ.) იგულისხმე შენ ყველა ეს? ვინც მე შემომიღვება, იმან უნდა უარ ყოს ყოველივე დაბალი, სამარცხვინო, ცუდი, მოკვდეს ცოდვისათვის და განწმენდილი, გამსქვალული მაღალი სულით შევიდეს ახალ ცხოვრებაში. „ამინ, ამინ გეტყვი შენ: უკეთუ ვინმე არ იშვეს მეორედ, ვერ ხელმწიფების ხილვად სასუფეველი ღვთისა“. (იოან. 3 თ. 3 მ.) — ცხოვრება ისეთია, როგორსაც ქმნიან იმას თვით ადამიანები, ადამიანის სულიერი ბუნების თვისებათაგან არის

დამოკიდებული ცხოვრების განსხვავებული ხასიათით. თუ კაცობრიობას სურს ცხოვრების საუკეთესოთ შეცვლა, თუ სურს იმას სამყაროზე კეთილის და სამართლიანობის რაოდენობის გადიდება, მაშინ თვით ის უნდა განახლდეს სულიერათ, აღამაღლოს თავი თვისი და გააძლიეროს ენერჯია ქეშმარიტებისა და სიყვარულისადმი სამსახურში. ამიტომ ქრისტემ მთაზე წამოთქმულ ქადაგებაში სთქვა: „თქვენ გსმენიათ, რა არის ნათქვამი ძველთაგან—არა კაც კლა, არ წაართვა კაცს სიცოცხლე: მე კი გეტყვი თქვენ ნუ შეურაცხყოფ მოყვას ამაო წყრომით, გეშინოდეს არ შეურაცხყო ის სიტყვითაც, სიტყვიდაც არ მოაკლო იმას ადამიანური ღირსება. ხომ გაიგონეთ, რა უთქვამთ ძველებს: არა იბრუშო, ნუ გადააქცევთ სხეულს, რომელიც დანიშნულია ღვთის სულის ქურქლათ, ხორცის დაბალი მოთხოვნილებების მსახურების იარაღად; მე კი გეტყვი თქვენ ეკრძალებოდა ცუდ აზრებს, თვალი მოარიდეთ ყველა იმას, რაც შებიღწავს თქვენი აზრების სიწმინდეს. თქვენ გესმით ძველთაგან: შეასრულეთ ფიცი ღვთის წინაშე, ფრთხილათ იყავით არ დაარღვიოთ ის. მე კი გეტყვი თქვენ: წმინდათ შეინახეთ ყოველი თქვენი სიტყვა, უფიცოთაც უნდა ამბობდეთ ყოველთვის მხოლოდ სიმართლეს. თუ-კი, კი, თუ-არა, არა.

ე. ნ—ძე.

(შემდეგი იქნება).

ზინაური საქმეები.

ვარდს სუნნელება წაერთვა,
ფერი დაჰკარგა იამა;
ხეხილი სამოსელიდგან
თლათ გააშიშვლა ნიაფმა.
მქრთალი ნათელი მზის შუქის
ღრუბელმა შეეზნელიანმა
შეიპყრო, შეეფიწროვა
ცივ ქარიშხალის გრილობა.
აბოზოქრებულ ზღვის ზვირთნი
ემუქრებიან ნაპირებს,
გადმოდულს ქუხილ-ღრიალით
ივერის წარყენას აპირებს.

გამოჰქუხს გამოზუზუნებს
ქარბუქი ცივ-სუსხიანი,
კლდესა და ღრუსა დაემსხვლა
მის გული ყინულიანი.

ალარ იმონებს ჩემ გულსა
ტყეში ფოთოლთა შრიალი,
დადუმებულა ბუღბუღი,
არ ისმის კვენესა-წკრიალი.

ცივ-ცივი ნაკადულები
ქვესკნელსა ჩაუყლაპია,
ალარ სჩანს მჩქეფრი ანკარა,
ნაპირნიც გაუკაფია.

არ ცქრილებენ ცხოველნი,
შესწყდა ცხოვრება ტყისაო,
ბრქული ჩაუკრავს სიბნელეს
ალარ სჩანს სხივი მზისაო.

ალარ აყენებს ქართველსა
მოვლენა ბუნებისანი:
არივ-დარია ცხოვრება
და შეუცვალა მიზანი:

ვარი ჰყო ხენასა, თესვასა
და მიატოვა ყანა მან...
გუთანი, კავი, სახნისი
მას შეუცვალა—დანამან.

ძველებურ ხმალი ქართველმა
—მახვილიბასრი ძალზედა
იძრო და შეატრიალა
და მოიქნია ძმაზედა!

მტერსაც ხო ესე სწყუროდა
ხარხარით ვადგა განზედა,
რომელიც ვადარჩებოდა
თავზარს დასცემდა თავზედა.

ძველმა ქარდველმა იბრძოლა
მკლავ და მკლავ მტერთან ხმლიანმა,
ქრისტე მას ვერ აგმობინა
უძლესმა მაჰმადიანმა.

ეხლა კი ბინდი გადაჰკრა
ქართველისა ტვინსა სიომა:
თვისი ძმა მტრათა დასახა
და მასთან მედგრათ იომა!

ძველთა ძველისა სინდისი,
ღვთის შიში, სასოგბანი,
დაჰკარგა, უფსკრულს ჩაღუპა
ქრისტესი წმინდა მცნებანი.

არ მოსწონს ღვთისა ტაძარი,
არც სულიერი მამაო.

უარს უცხადებს ღვიძლ ძმასა
მშობლებიც არ იწაზაო...

ქეშმარიტება, ნათელი
თავს იჩენს ყოველგანაო
ილაღადებენ მამანი
„შინაურ საქმესთანაო!“

ჰო სულიერო მამაო,
და მის პატარა კალამო!
გთხოვ გულში არა დაჰფარო,
გაკურთხოსთ ღვთიურ ძალამო!

მელნათ იხმარე ცრემლები
რაც შენი ძმისთვის დანამო,
ცრემლში გალესე ნალველი
და შეაზავე მალამო!

როდესაც შრომის ოფლის დროს
შუბლს მოიწმინდო წვეთები,
მასში გახსენი მალამო
ადრევე განაკეთები.

კიდევ გთხოვ აქვე ჩაუროთო
ქრისტესი წმინდა მცნებანი,
ღვთის მშობლის, წმინდა ივერის
და ღვთისა ჩვენი ქებანი; —

ერთ ძმასა ხელი მოსწმინდე
ძმის სისხლში ნარევე-ნაბანი,
მეორის იარა ნახე,
განჰკურნე მისი ვნებანი.

გამოიღვიძებს ქართვლისა
სინდისთა მიძინებანი,
გულსა დაუტკობს მალამო
შესწყდება მისი ქენჯნანი.

ფერი მოუვა ყვავილსა,
ვარდსა, ბალახს და ისა
ფუტკარს სიძიით ჩაიკრავს
გაფურჩქნულ გულსა, ღიასა!

შეიმოსება ტყე-ველი,
მთა—ბარი დიდის ლხენითა,
ბულბულიც ყურსა დაგვიტკობს
უცნაურ თვისის ენითა!

მიესალმება მზის სხივი
ამბორით ოქროს ყანასა,
ნისლსა — ღრუბელსა განღვევის

მონათლავს მთელ ქვეყანასა!

მჩქეფრი ანკარა წკრილით
თავს იჩენს ნაკადულები
წინ გაურბენენ ჩანჩქარით
ერთმანეთს დაქადულები!

მათი სიცელქე მზის სხივსა
წაართმევს ელვარებასა,
თვალ-მარგალიტით შემკული
ვაჰყოფა თვისსა ნებასა!

შესდგება ზღვანი, ზვირთები
დაღლილი ნაომარია,
ნელის ჩურჩულით გაისმის
ქართველთან საუბარია:

„იყო გამწყრალი თქვენზედა
მეუფე—მისი ცანიო
რადგან, ქართველო, ძველებრივ,
მის ძალა ვერ იცანიო.“

არივ-დარია ხმელეთი,
ააბობოქრა ზღვანიო,
შეაწრიალა ყოველი
სულდგმული, ტყე და მთანიო!

თუ გაგინათლდა მონება
და ქრისტე კვლავ იცანიო,
მე სიხარულით ხსნას გიძღვნი
და მზის სხივებსა ცანიო!

კვლავ აყვავდება სამშობლო
თქვენი პატარა ერისო,
რასაც რომ მოუთმენელად
ყოველი თქვენგანი ელისო!“

იმერული.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მახალიძე**,
გამომცემელი **იოსებ ლუჯავა**

განცხადება.

**ვაგჳადებ სამღვდელო და
საღვთისმეტყველო საგნებში,**

აგრეთვე სპეციალურად ვაგჳადებ ჩვენი
ღვთისმეტყველო საგნებს.

ადრესი: ქუთაისი, კახაკოვის ქუჩა, № 17.